პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 მარტი, კვირა, 1989 წ.
№ 45 (9964) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სამთო-სათხილამურო სპორტში ევროპის თასის გათამაშების გოლოსწინა ეტაპი

# გუდაურში დიდი სპორტული დღესასწაულია

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტები პეპი გოჟორიშვილი, [illegible], „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტი დავით კაკაბაძე, საქინფორმის კორესპონდენტები შალვა შალოლაშვილი და პაატა ცინცაძე გუდაურიდან ტელეფონით გვატყობინებენ:

**3 მარტს,** მსაჯთა კოლეგიისა და გუნდების ხელმძღვანელთა მონაწილეობით გამართულ თათბირზე ერთხმად გადაწყდა: 4 მარტს ნებისმიერ ამინდში ჩატარდებოდა შეჯიბრება. ამ დღეს კი დილიდანვე გამოიდარა, მზიანი ამინდი დადგა. ასპარეზობისთვის ყველაფერი მზად იყო და 11 საათზე პირველმა სტარტმა ააზმიანა გუდაურის თოვლიანი ფერდობები. დაზუსტებულია მონაწილე ქვეყნების რაოდენობა — 14. გუნდები გამოგზავნეს: ავსტრიამ, ბულგარეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, ესპანეთმა, იტალიამ, ნორვეგიამ, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, საფრანგეთმა, შვეციამ, შვეიცარიამ, ჩეხოსლოვაკიამ, იუგოსლავიამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. სსრ კავშირმა, როგორც შეჯიბრების მასპინძელმა, 3 გუნდი გამოიყვანა. აქ მონაწილეთა შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ეკა ედიშერაშვილი, სოფია მალოვიჩკო და თამარ მიქელაძე. ბევრ საბჭოთა სამთომთოთხილამურე ქალს ასეთ ავტორიტეტულ ასპარეზობაში მონაწილეობის შესაძლებლობა, როგორც ვთქვით, მხოლოდ იმის გამო მიეცა, რომ შეჯიბრება ჩვენთან ტარდება. ცხადია, ისინი საპრიზო ადგილებისთვის ვერ იბრძოლებენ, მთავარია, გამოცდილების შეძენა. სრული გუნდით (12 მონაწილე) წარმოდგენილია მხოლოდ 2 ქვეყანა — ავსტრია და შვეიცარია. დანარჩენებს მხოლოდ ის სპორტსმენები ჰყავთ ჩამოყვანილი, რომლებსაც, სულ მცირე, ჩასათვლელი ქულის მოპოვების შანსი აქვთ.

მკითხველი ალბათ იკითხავს, რა შუაშია ევროპის თასის გათამაშებაში ამერიკელთა მონაწილეობა. საერთაშორისო ფედერაცია ასეთ გამონაკლისს უშვებს, ეს ასპარეზობა გამოცხადებულია შეჯიბრებად, რანგით კი იგი მხოლოდ მსოფლიო თასის გათამაშე-

იხ. მე-2 გვ.

## თვის მონაგარი

# თებერვალშიც გაგვახარეს

**საბედნიეროდ,** თებერვალში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლები კვლავ საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

საუბარი გვინდა დავიწყოთ ძიუდოისტებით, რომლებიც იანვრის „თვის მონაგარის" უპირველესი გმირები იყვნენ და თებერვალში, თბილისის XX საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირშიც გვასახელეს.

მათგან ამ ტურნირში ისეთივე მნიშვნელოვანი გამარჯვებების მოპოვება, როგორსაც საკავშირო ჩემპიონატში მიაღწიეს, ნაკლებად მოსალოდნელი იყო, რადგან შეჯიბრებაში ჩვენი სამი უძლიერესი ძიუდოისტი არ გამოსულა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ფალავნებმა თორმეტი მედალი, მათ შორის სამი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ექვსი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. იგივე ნადავლი მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმაც, რომელმაც მხოლოდ ერთი „ოქროთი" გვაჯობა.

ამ ორ ნაკრებს შორის ძალთა თანაფარდობა ფაქტობრივად არც გუნდურ შეჯიბრებაში დარღვეულა, სადაც ფინალური შეხვედრები ფრედ დამთავრდა, მაგრამ წმინდა მოგების რაოდენობით უპირატესობა საკავშირო ნაკრებს მიეკუთვნა.

ჩვენი სპორტსმენებიდან, პირად პირველობაში ოქროს მედლები მოიპოვეს ჭიათურელმა გურამ მოდებაძემ, სოხუმელმა ვლადიმერ დგებუაძემ და გორელმა ენგურ გოგიჩაშვილმა, მეორე ადგილზე გავიდნენ ქარელელი ბესიკ ქოქოევი, გორელი ანზორ თენაძე და საგარეჯოელი ბადრი ბასილაშვილი, ხოლო მესამეზე — თბილისელი ზაზა დაბრუნდაშვილი, მარნეულის რაიონის წარმომადგენელი ლერი ყორყოლიანი, სოხუმელი თამაზ ჭელიძე, ქუთაისელი რობერტ ლომთაძე, ჯამბულ მახურაშვილი და გორელი არსენ აზალაძე.

**პლევენში** (ბულგარეთი) გამართულ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირზე თბილისელმა გურამ გედეხაურმა მესამე ადგილი დაიკავა.

**კვლავ** ჩინებულ სპორტულ ფორმაშია მსროლელი ნინო სალუქვაძე. ლვოვში გამართულ საკავშირო პირველობაზე, რომელიც დახურულ სასროლეთზე გაიმართა, მან ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო მპ-5 და მპ-10 ვარჯიშში. ამავე სახეობებში მან კიდევ ორი პირველი ადგილი დაიკავა გუნდურ ასპარეზობაში. ამას გარდა, ნინომ ერთი გუნდური ვერცხლის მედალიც მოიპოვა პპ-2 ვარჯიშში.

ლვოვში წარმატებით გამოვიდა ქუთაისელი ილია ჩაგანავაც. მან „გაქცეულ ტახზე" პნევმატური შაშხანიდან სროლაში (მშ-12), გუნდურ ასპარეზობაში, „ოქრო" დაიმსახურა. მშ-12 ვარჯიშში კი (გუნდური პირველობა) მეორე ადგილი დაიკავა.

**ჩვენი** წყალში მხტომელების ბენეფისით აღინიშნა თბილისში გამართული სსრ კავშირის ჩემპიონატი და საკავშირო პირველობა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე. თბილისელმა სპორტსმენებმა აქ ისე იასპარეზეს, როგორც არასდროს.

გიორგი ჩოგოვაძემ გაზეთის პრიზზე გამართულ ასპარეზობაში

იხ. მე-3 გვ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# ლიდერობენ თბილისელები

**წლევანდელი** საკავშირო ჩემპიონატის პირველ ორ ტურში თბილისის „დინამოს" წარმატებებმა წყალბურთის ქართველ გულშემატკივრებს საღერღელი აუშალა და უკეთესი მერმისის მოლოდინით განაწყო. რატომაც არა, თბილისელებმა ხომ საკავშირო ჩემპიონატის მედლები უკანასკნელად 23 წლის წინათ მოიპოვეს და მას შემდეგ ჩვენს დინამოელებს ოდინდელი წარმატებების გამეორების ისეთი შანსი, როგორიც წლეულს გამოიკვეთა, აღარ ჰქონიათ.

ამიტომ ბუნებრივია გულშემატკივართა და სპეციალისტთა ის დიდი ინტერესი, რომელსაც თბილისში, ვაკის საცურაო აუზში მიმდინარე მესამე ტურის შეხვედრები იწვევს.

აქ საასპარეზოდ თბილისელთა გარდა შეიკრიბნენ მათი მოსკოველი და ლვოველი თანაკლუბელები, აგრეთვე კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (კკფ), მოსკოვის „უნივერსიტეტისა" და „ტორპედოს" გუნდები (დანარჩენები კიევში გამოდიან). ისინი სამ-სამ შეხვედრას გამართავენ. მასპინძლები ურთიერთობას გაარკვევენ ტორპედოელებთან, ლვოველ თანაკლუბელებთან და უნივერსიტეტელებთან.



ამ გუნდების პაექრობა გუშინ დაიწყო და თბილისელთა პირველი მეტოქენი ტორპედოელები იყვნენ.

ეს გუნდი, დიდი ხნის წინათ ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონი იყო, ხუთჯერ ვერცხლის მედლები მოიპოვა, ხოლო ერთხელ — ბრინჯაოსი, სამჯერ კი საკავშირო თასსაც ფლობდა.

ერთი სიტყვით „ტორპედო" თავისი მედლების ბრწყინვალით ჩვენს ქვეყანაში ორ-სამ გუნდს თუ ჩამორჩება. მაგრამ მოსკოველთა მედლებმა ელვარება დიდი ხნის წინათ დაკარგა (1956 წლის შემდეგ მას მედალი აღარ ღირსებია), მერე და მერე უმაღლესი ლიგის დატოვებაც კი მოუხდა. მას შემდეგ ტორპედოელები პირველ და უმაღლეს ლიგას შორის სშირად „მოგზაურობენ".

მაგრამ ეს ყველაფერი იმას სულაც არ ნიშნავს, რომ თბილისელებს მათთან იოლი შეხვედრა ელოდათ.

ტორპედოელებს, თბილისელებისა არ იყოს, ეტყობათ წლეულს ალმავლობა დაეწყოთ. ყოველ შემთხვევაში, მრავალი წელია მათ პირველი ორი ტური ასე კარგად არ გაუვლიათ. ქართველ წყალბურთელებთან შეხვედრამდე ისინი 8 ქულით მეშვიდე ადგილზე იყვნენ და ბუნებრივია, პირველი წრის ფინიშზე ახლოს იყვნენ მიზანთან, რვა საუკეთესო გუნდს შორის რომ მოხვედრილიყვნენ.

საქმე ისაა, რომ მედლებისათვის ბრძოლის შანსს ინარჩუნებენ სწორედ ის გუნდები, რომლებიც პირველი წრის მერე რვა უძლიერესთა რიგებში შევლენ. ამასთან, რვა საუკეთესო გუნდს შორის დამკვიდრება უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების ასპროცენტიან გარანტიასაც იძლევა, ტორპედოელთა მიზანი კი სწორედ ესაა.

მოსკოველებმა თბილისელებთან შეხვედრაში დიდი თავგამოდებით იბრძოლეს. არად დაგიდევდნენ, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს ხვდებოდნენ და ჩვენს წყალბურთელებს ტოლი არაფერში დაუდეს. მათ განსაკუთრებით კარგად ითამაშეს მეორე პერიოდში, როცა ერთი ბურთის სხვაობით დაწინაურდნენ კიდეც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტორპედოელებს ამაში ისევ დინამოელები დაეხმარნენ. დაეხმარნენ უყურადღებო თამაშითა და მათთვის უკადრისი ელემენტარული შეცდომებით.

აღსანიშნავია, რომ თბილისელებს ათჯერ ეგრეთწოდებული ზედმეტი მოთამაშე ჰყავდათ და აქედან მხოლოდ ხუთჯერ მიაღწიეს მიზანს. რაც შეეხება სტუმრებს, მათ რიცხობრივი უპირატესობა ექვსიდან ოთხჯერ გამოიყენეს.

ეტყობა, ეს ყველაფერი მასპინძელთა ზედმეტმა თვითდაჯერებამ გამოიწვია. საბოლოოდ თბილისელებს დიდი ნებისყოფის დაძაბვა და ენერგიის დახარჯვა მოუხდათ, რათა გამარჯვებისათვის მიეღწიათ. 7:6 (2:1, 1:3, 2:0, 2:2) გაიმარჯვეს თბილისელებმა. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს დავითიანმა, გვახარიამ, ბიტაძემ (2-2) და გიორგაძემ. მათ გარდა თამაშობდნენ მეკარე გიორგაძე, ზუმბულიძე, ბალათურია, კუტივაძე, ნიკოლაიშვილი, კანდელაკი, მაჭავარიანი და რამიშვილი.

**გუშინ თბილისში გამართული დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო" (ლვოვი) — „კკფ" (ბაქო) — 18:9, „უნივერსიტეტი" — „დინამო" (მოსკოვი) — 5:5.**

**ავთანდილ ბურახაშვილი.**

# სპორტის სასახლეში გაიწვევს მინიფეხბურთი

**თბილისის** ტრადიციული ტურნირი მინიფეხბურთში, რომელსაც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი აწყობს, უკვე საერთაშორისო ასპარეზზე გავიდა. პირველად მან სტარტი 1987 წელს აიღო, მაშინ ეს იყო საქალაქო შეჯიბრება, მერე იგი რესპუბლიკურ ასპარეზობად გადაიზარდა, წლეულს კი უკვე საერთაშორისო ფესტივალად იქცა. ეს საინტერესო შეჯიბრება დღეს იწყება თბილისის სპორტის სასახლეში.



ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს თბილისის დაძმობილებული ქალაქების ლიუბლიანის (იუგოსლავია), ზაარბრიუკენის (გფრ), ინსბრუკის (ავსტრია), ბილბაოს (ესპანეთი), ბულგარეთის დედაქალაქ სოფიის, პოლონეთის ქალაქ პოზნანის, აგრეთვე, მოსკოვის, კიევის, ერევნის, ბაქოს, სოხუმისა და ბათუმის გუნდები.

ფესტივალზე გამოვა აგრეთვე თბილისის „ოქროსუბნის" გუნდი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა შარშანდელ რესპუბლიკურ ასპარეზობაში. ბათუმიდან და სოხუმიდან ჩამოვლენ საქალაქო პირველობათა გამარჯვებულები. მათ შეეჯიბრებიან გუნდები, რომლებიც შეიქმნა მოსკოვის „სპარტაკის", კიევის „დინამოს", ერევნის „არარატისა" და ბაქოს „ნეფთჩის" გულშემატკივართაგან, უცხოელი სტუმრები კი ძირითადად წარმოდგენილი იქნებიან იმ მოთამაშეებით, რომლებიც სპეციალდებიან მინიფეხბურთში. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ლიუბლიანელ სპორტსმენებს, რომლებმაც ახლახან გაიმარჯვეს იტალიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. სხვა ქვეყნების სტუმართა შორის არიან წარსულში ცნობილი ფეხბურთელებიც, რომლებიც ახლა მცირე მოედნებზე გადავიდნენ.

13 გუნდი განაწილებულია 4 ქვეჯგუფად, ორ-ორი გამარჯვებული გავა მომდევნო წრეში და ასპარეზობას განაგრძობს ოლიმპიური სისტემით.

# მესამე წრეში გავიდა

**ოკლაჰომა.** აშშ-ს ამ ქალაქში მიმდინარე ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში ორი საბჭოთა ჩოგბურთელი ლარისა სავჩენკო და ლეილა მესხი ასპარეზობს. ორი წრის შემდეგ სავჩენკო გამოეთიშა ტურნირს, მესხი კი ბრძოლას განაგრძობს.

თბილისელმა სპორტსმენმა პირველ წრეში ინგლისელ მონიკ იავიერს აჯობა (6:3, 6:1), მეორეში კი ამერიკელი მარიან ვერდელი დაამარცხა (7:6, 7:6).

ლარისა სავჩენკომ სასტარტო მატჩში ჰოლანდიელ სიმონ შილდერს მოუგო (6:3, 7:5), მერე კი სუსტად ითამაშა ასევე ნაკლებად ცნობილ ჰოლანდიელთან მანონ ბოლეგრაფთან (3:6, 7:5, 2:6) და ასპარეზობას გამოეთიშა.

# გუდაურში დიდი სპორტული დღესასწაულია

(დასასრული)

ბას ჩამორჩება. ბევრ ქვეყანას, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს, რამდენიმე ძლიერი გუნდი ჰყავს. საუკეთესო, როგორც წესი, მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობს, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ, თუ გუნდი ევროპის თასზე უკეთ იასპარეზებს, ის გახდეს ქვეყნის პირველი ნაკრები. არც ისაა გამორიცხული, რომ ამა თუ იმ ქვეყანამ ერთი და იგივე შემადგენლობით იასპარეზოს ორივე ტურნირში. გარდა ამისა, ცალკეულ ძლიერ სპორტსმენებს უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ როგორც ევროპის, ისე მსოფლიო თასის გათამაშებაში, ოღონდ მონაწილეთა რიცხვმა არ უნდა გადააჭარბოს დადგენილ რაოდენობას.

ასპარეზობის წინა დღეს ვლადიმერ ანდრეევმა — სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელმა რამდენიმე საბჭოთა სპორტსმენს უწინასწარმეტყველა გამარჯვება სწრაფდაშვებაში. მწვრთნელის ვარაუდი გამართლდა. სწრაფდაშვებაში (კომბინაციის ჩათვლისათვის, ტრასის სიგრძე — 2800 მეტრი, სიმაღლეთა სხვაობა — 650 მეტრი) პირველი იყო რიგელი ულა ლოძინია — 1.47,43, მეორე — ავსტრიელი მარიკა დაქსერი — 1.47,56, მესამე — ვარვარა ზელენსკაია — (კამჩატკის პეტროპავლოვსკი) — 1.48,29. კონკურსგარეშე მონაწილე ერთ-ერთ საბჭოთა გუნდში საქართველოს წარმომადგენლებიდან ყველაზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა ედიშერაშვილს — 2.05,26, მიქელაძემ — 2.06,02 აჩვენა, მალოვიჩკომ — 2.08,43. ეს შედეგები ამ დღეს ყველაზე უარესი იყო. მიუხედავად ამისა, ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის ეს კარგი სკოლა იქნება.

ტრასა გახსნეს თბილისელმა მოსწავლეებმა თამუნა მეგრელიშვილმა და ნანა ფიფიამ — ორივე გოგონა 14-14 წლისაა.

—საქართველოს უდიდესი პოტენციალი აქვს სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის, — თქვა სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ანდრეევმა. — ბაკურიანისა და გუდაურის მეოხებით თქვენს რესპუბლიკას შეუძლია იქონიოს იმედი, რომ დიდ წარმატებებს მოიპოვებს მომავალში. ახლა სამთო-სათხილამურო სპორტს თავისებური ბუმი დაუდგა საქართველოში. საგულისხმოა, რომ დიდები კი-არ უკრძალავენ, პირიქით, ხელს უწყობენ ბავშვებს მისდიონ სპორტის ამ შესანიშნავ სახეობას, რომელიც გარკვეულწილად რისკთან არის დაკავშირებული.

ვ. ანდრეევი გამოგვიტყდა, რომ თვალს ადევნებს ახალგაზრდა ქართველ სამთო მოთხილამურეებს, რომელთა შორის, მისი აზრით, არიან ფრიად პერსპექტიული გოგონები. მას განსაკუთრებით მოსწონს 14 წლის ტატა აბრამიშვილი, რომელსაც გულმოდგინე ვარჯიშით შეუძლია კარგ შედეგებს მიაღწიოს.

## ინტერვიუ ჩემპიონთან

— ბავშვობაში ხშირად ვხდებოდი ავად. ჯერ, რა თქმა უნდა, წამლებით მკურნავდნენ, მერე კი, როცა ამანაც ვერ მიშველა, დედამ გადაწყვიტა სპორტით „ემკურნალა" ჩემთვის — გახსენებით დაიწყო ულა ლოძინიამ. — ექვსი წლისა სათხილამურო სექციაში მიმიყვანეს. ჩვენ ქალაქში — ვალნიერაში, რომელიც რიგასთან ახლოს, ოც კილომეტრზეა, ერთი პატარა, ორასმეტრიანი ფერდობია. ეს ადგილი იყო ჩემი პირველი ტრასა, იქ „ავიდგი ფეხი." მერე ლატვიის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა იანის ციაგუნსმა მიმიწვია რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში და ასე დაიწყო ჩემი მოგზაურობა კავკასიისა და ხიბინის მთებში. წელიწადნახევრის წინ, თხუთმეტი წლისა, საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებში შემიყვანეს, წელს კი პირველად ვცადე ბედი მსოფლიო თასის გათამაშების რამდენიმე ეტაპზე.

**● მათგან უკანასკნელზე — ამერიკის შეერთებულ შტატებში, სტიმბოტში, ნამდვილი სენსაცია მოახდინეთ — სუპერგიგანტის ტრასაზე მეოთხე ადგილი დაიკავეთ...**

— დიახ, დღევანდლამდე სწორედ ეს არის ჩემი ყველაზე დიდი და, მართალი გითხრათ, მოულოდნელი წარმატება. თუმცა, გუდაურში გამარჯვებამაც ძალიან გამახარა — სწრაფდაშვებაში ევროპის თასის გათამაშების ეტაპზე საბჭოთა მოთხილამურე ქალს ხომ ჯერ არ გაუმარჯვნია.

**● რას იტყვით გუდაურის ტრასაზე?**

— მსოფლიო თასის ტრასებთან შედარებით აქაური ტრასა სირთულით არ გამოირჩევა, მაგრამ ევროპის თასის დონეს სავსებით აკმაყოფილებს.

**● წლეულს კიდევ სად იასპარეზებთ?**

— სეზონი მთავრდება, ახლა ცოტა ხნით შინ გავემგზავრებით, 25 მარტს კი გავფრინდებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 1 აპრილს იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყება.

**● წელს თქვენმა ძმამ, როჯერსმა შვეიცარიაში გამართულ იუნიორ ბობსლეისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა. გისურვებთ, რომ მომავალ ზამთრის ოლიმპიადაზე ალბერვილაში ორივე გამოსულიყავით.**

— დიდი მადლობა ჩემი და როჯერსის სახელით ამ კეთილი სურვილისთვის.

## ანგელა დრექსლერი: „ჩემი პირადი ზეიმია"

**სად** არ შეხვდებით ამ დღეებში გუდაურში სპორტსმენ ქალებს — ისინი ხან ჩოგბურთის კორტებზე გამოჩნდებიან, ხან საცურაო აუზში, ზოგი მზის სხივებს ეშურება, ზოგსაც ჯერ კიდევ გაუკვალავ თოვლში საკუთარი ბილიკის გაკვალვა მოსურვებია. ანგელა დრექსლერს — დასავლეთ გერმანიის გუნდის წევრს კი ბიბლიოთეკაში შევხვდით.

— ორი წიგნი მქონდა წამოღებული, რომლებიც უკვე წავიკითხე, აქ კი ახალი შევარჩიე.

**⊙ რომელ წიგნზე შეაჩერეთ არჩევანი?**

— ძალიან მიყვარს ისეთი წიგნები, სადაც აღწერილია დაუჯერებელი საშინელებანი, თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი წიგნი ძილის წინ მამშვიდებს კიდეც.

**⊙ კი მაგრამ, მოახლოებული სტარტის წინ გრჩებათ კითხვის დრო?**

— საქმე ისაა, რომ მე გამოვდივარ მხოლოდ სლალომში, რომელიც ასპარეზობის ბოლო დღეს — 6 მარტს ტარდება, ასე რომ, თანაგუნდელებისგან განსხვავებით დროც მეტი მაქვს.

**⊙ რა, — [illegible] სწრაფდაშვებას არ სწყალობთ?**

— როგორ არა, გულიც კი მწყდება, რომ არ ვმონაწილეობ სწრაფდაშვებაში, მაგრამ ჩემს მშობლებს რატომღაც ჰგონიათ, რომ სწრაფდაშვება სახიფათოა. ხომ იცით, დედისერთა შვილის ამბავი...

**⊙ თქვენი მშობლები კარგად ერკვევიან სპორტში?**

(იცინის!) — მართალია, ჩემი მშობლების აზრი სპორტში დილეტანტის პოზიციას უფრო ჩამოჰგავს და მაინც... მამაჩემი მწვრთნელია სამთო-სათხილამურო სპორტში. ბავშვობაში მამამ სწრაფდაშვებაში ფეხი დაიზიანა და შიშით შვილს იგივეს ვერ უსურვებს.

**⊙ მამამ დაგაყენათ თხილამურებზე?**

— დიახ, მაშინ 10-11 წლისა ვიყავი, მაგრამ სერიოზულად სლალომმა ბოლო სამი წელიწადია, რაც გამიტაცა. პირველ დიდ წარმატებას კი მხოლოდ წელს მივაღწიე — შვეიცარიაში ამ თასის ერთ-ერთ ეტაპზე მეორე შედეგი მქონდა.

**⊙ უკაცრავად, რამდენი წლისა ბრძანდებით?**

— რამდენიმე დღეში, უფრო ზუსტად 8 მარტს, 21 წელი მისრულდება. ვიცი, რომ თქვენთან და ბევრ სხვა ქვეყანაში 8 მარტი აღინიშნება როგორც ქალთა საერთაშორისო დღე. სიმართლე გითხრათ, დასანანია, რომ ბავარიაში ასეთი ტრადიცია არ არსებობს და ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პირადი ზეიმია.

---

**სსრ კავშირის ჩემპიონატი და პირველობა (1970-1971 წ.წ. დაბადებულთათვის) მძლეოსნურ კროსში**

# სარბენ ბილიკზე ვერავის მოატყუებ

**26 თებერვალი. ანგისის სპორტული კომპლექსი**

**ბრძელ** მანძილებზე რბენამ ბოლო ხანს ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა პოპულარულ სპორტულ სანახაობებს შორის. მარათონი, საგზატკეცილო გარბენი და კროსი უამრავ მაყურებელს იზიდავს. თამაშდება მნიშვნელოვანი ფულადი პრიზები, რითაც ნოყიერი ნიადაგი იქმნება სტაიერული რბენის შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირის მძლეოსნები ერთგვარად გარიყული აღმოჩნდნენ ამ ახალი მოვლენებისგან. ჩვენი სტაიერების შედეგები წლიდან წლამდე უარესდება და ჯერჯერობით არავითარი საფუძველი არ არსებობს საიმისოდ, რომ ამ დაღმასვლის შეჩერება ვივარაუდოთ.

ქვეყნის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის მწვრთნელები, ცხადია, გულხელდაკრეფილნი არ სხედან, ახალ-ახალ გეგმებს (მართალია, ჯერჯერობით უნაყოფოს) სახავენ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ჩემპიონატს მძლეოსნურ კროსში, რომლის ჩასატარებლადაც წლეულს ბათუმი, კერძოდ, ანგისის სპორტული კომპლექსის მოედანი შეარჩიეს. კროსი 26 თებერვალს მოეწყო.

შერჩეული ტრასა მართლაც შესანიშნავი საასპარეზო ადგილია კროსმენებისათვის, მაგრამ ისეთი რანგის შეჯიბრება, როგორიც ქვეყნის ჩემპიონატია, უამრავ მოსამზადებელ სამუშაოს მოითხოვს. დიდი ჯაფა დაადგათ შეჯიბრების მთავარ მსაჯს ედუარდ ლომთაძეს, ვალერი ვაშაკიძეს, თბილისიდან დასახმარებლად წამოყვანილ ფიზკულტურის ინსტიტუტის ორ სტუდენტს — გოჩა შაიშმელაშვილსა და გია რომანაშვილს. თავის მუშაკებთან ერთად შრომობდა ანგისის სპორტული კომპლექსის დირექტორი რაფიელ ფირცხალავა. მნიშვნელოვანი საკითხები გადაწყდა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნანა გუგუნავას უშუალო ჩარევით... მოკლედ, ბევრი საქმე გაკეთდა და 26 თებერვალს საბჭოთა ქვეყნის 300-მდე უძლიერეს სტაიერს საუცხოოდ მომზადებული ტრასა დახვდა.

პირობები მაღალი შედეგების მისაღწევად ისეთი იყო, უკეთესს ვერ ინატრებდი, მით უმეტეს, რომ დარიც მშვენიერი იდგა — 18 გრადუსი. ჩვენ, წმინდა საასპარეზო პირობებს ვგულისხმობთ, თორემ, ცხადია, ზოგი რამ შეიძლება უკეთესადაც გაკეთებულიყო. მაგალითად, აშკარად საჭირო იყო მეტი რეკლამა. „ჩვენ მხოლოდ შეჯიბრების მეორე დღეს გავიგეთ, რომ ქალაქში ქვეყნის ჩემპიონატი ტარდებოდა". — დიდი სინანულით მითხრა ორმა ბათუმელმა მძლეოსანმა. აფიშები, მართალია იყო გამოკრული ქალაქში, მაგრამ მხოლოდ ასეთი სახის ინფორმაციამ ბევრის ყურადღება ვერ მიიპყრო. ის კი უნდა ვთქვათ, რომ აჭარის ტელევიზიამ მთელი შეჯიბრება აღბეჭდა ფირზე.

ასპარეზობის დაწყებამდე რამდენიმე კითხვით მივმართეთ საბჭოთა კავშირის სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს ე. წ. „გამძლეობის სახეობებში" (სტაიერული რბენა და სპორტული სიარული) ვიაჩესლავ ვოროზიოვს.

**● სტაიერებს ქვეყნის მძლეოსანთა ნაკრების ყველაზე სუსტ ჯგუფად თვლიან. რასაკვირველია, ვერავინ იტყვის, რომ სპრინტსა თუ ხტომაში უფრო ნიჭიერი სპორტსმენები გვყავს, მაგრამ რა არის მიზეზი, რომ სტაიერებს გამუდმებით აკრიტიკებენ?**

— პირველ ყოვლისა, საქმე არც ისე ცუდად არის, როგორც პრესაში გვიხატავენ. ჩვენი მორბენალი ქალები, სპორტული სიარულის ოსტატები, საკმაო წარმატებებს აღწევენ, მაგრამ რატომღაც ყველას სტაიერ ვაჟთა შედეგები ხვდება თვალში.

**● მართლაც უცნაურია, რომ გრძელ მანძილებზე რბენაში ადრინდელ თაობებს, თუნდაც სამოცდაათიანი წლების მორბენლებს გაცილებით უკეთესი შედეგები ჰქონდათ.**

— მსოფლიოში ამჟამად რბენის ბუმია, რაც შედეგების ზრდასაც განაპირობებს. ჩვენთან კი მან ასეთ პოპულარობას ვერ მიაღწია.

**● სოციალური საფუძველი, რასაკვირველია, მხედველობაში უნდა მივიღოთ, მაგრამ მხოლოდ ეს არის მიზეზი?**

— ჩვენი ახალგაზრდა მორბენლები მეტისმეტად გაზარმაცდნენ, ბევრი შრომა არ უყვართ, უამისოდ კი სტაიერულ რბენაში კაცს არაფერი ესაქმება. დამღუპველად იმოქმედა სხვადასხვა, ასე ვთქვათ, გარეშე საშუალებებით გატაცებამ (ვ. ვოროზიოვს კონკრეტულად არ უთქვამს, მაგრამ აშკარად ქიმიურ პრეპარატებს, ესე იგი დოპინგს გულისხმობდა. გ. ჩ.), ეგონათ, ამ გზით მიაღწევდნენ მაღალ შედეგებს. ამგვარმა იმედმა სპორტსმენებიცა და მათი მწვრთნელებიც შრომას გადაახვია.

პირდაპირ გაუგებარი გადაწყვეტილება იყო ასაკობრივი ცენზის დაწესება, რამაც ფაქტობრივად მოსპო კონკურენცია სტაიერთა შორის. ოცდაათ წელს გადაცილებული მორბენლები აბრამოვი და ტიშჩენკო საგანგებოდ ქვეყნის ჩემპიონატისათვის ემზადებიან ხოლმე და იქ გამარჯვებით ამტკიცებდნენ ამ შეზღუდვის აბსურდულობას. კარგია, რომ აკრძალვა გააუქმეს, თუმცა ჩვენ, სტაიერთა გუნდის ხელმძღვანელები ადრეც მუდამ ვცდილობდით მისთვის გვერდი აგვევლო.

**● რა მნიშვნელობა აქვს ამ შეჯიბრებას კროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ?**

იხ. მე-4 გვ.

# გაისად სტოკჰოლმში...

**როგორც** ჟურნალ „კონევოდსტვო ი კონნი სპორტის" ბოლო ნომრიდან შევიტყვეთ, სპორტის ისტორიაში 1990 წელს ახალი ფურცელი ჩაიწერება: პირველად მოეწყობა მსოფლიო ჩემპიონატი საცხენოსნო სპორტის ექვს ოფიციალურ დისციპლინაში — ერთდროულად და ერთ ადგილას.

აი ეს ექვსი სახეობა — ცხენის გაწვრთნილობა, დაბრკოლებათა გადალახვა, სამჭიდი, ეკიპაჟების მართვა, გადარბენა გამძლეობაზე, ვოლტიჟირება. ასპარეზობის ადგილი კი სპორტული და, კერძოდ, საცხენოსნო ტრადიციებით სახელგანთქმული სტოკჰოლმია, შვეციის დედაქალაქი. საგულისხმოა, რომ თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებზე ცხენოსნობის დებიუტი სწორედ სტოკჰოლმის ცენტრში აგებულ ახალ სტადიონზე შედგა 1912 წელს.

მრავალმა ქვეყანამ უკვე გამოთქვა ამ თამაშებში მონაწილეობის სურვილი. სტოკჰოლმში 1000-ზე მეტ ცხენსა და მხედარს ელიან. შარშანდელ ზაფხულს იქ ჩატარებულმა სამჭიდელთა ასპარეზობამ ცხადყო, რომ შვეციის დედაქალაქში ყველა პირობა არსებობს ასეთი მასშტაბის ჩემპიონატის ჩასატარებლად. „მე ვერც ვიფიქრებდი, — უთქვამს ტურნირში გამარჯვებულ ბ. დევიდსონს (აშშ), რომ თანამედროვე დიდი ქალაქის ცენტრში შესაძლებელი იქნებოდა კროსის ტრასის მოწყობა", არადა სამჭიდის უმთავრეს „მესამედს" — საველე გამოცდას, კერძოდ, კროსს ქალაქის სამეფო პარკი დაეთმო!

...ცხადია, ახლა, მით უმეტეს სეულის ოლიმპიადის შემდეგ, ვერაფერს ვიტყვით, როგორ იქნება წარმოდგენილი ამ დიდ ასპარეზობაზე საბჭოთა საცხენოსნო სპორტი.

ცხენოსნობაში წელიწადნახევარი ძალზე მცირე დროა (სტოკჰოლმის თამაშების საზეიმო გახსნა 24 ივლისისთვისაა დანიშნული) და, ჩვენი მხრივ, დიდი ოპტიმიზმი იქნებოდა რაიმე იმედის გამოთქმა, მაგრამ, რა ვიცით... წელს და გაისად საკავშირო შეჯიბრებებზე ჩვენს გამოცდილ თუ ახალგაზრდა მხედრებს ექნებათ თავის გამოჩენის საშუალება.

მით უმეტეს, რომ საქართველოში წლევანდელი საცხენოსნო ასპარეზობების სეზონი „უბრალოდ" არ დაწყებულა: თბილისის იპოდრომის დახურულ მანეჟში დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღეს მოეწყო შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში. როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი ასაკის ცხენებით ასპარეზობაში გაიმარჯვეს საქართველოს სპორტსახკომის თბილისის საცხენოსნო ბაზის მხედრებმა — არმიიდან ახლახან დემობილიზებულმა კახაბერ კეკიანმა და გამოცდილმა ვალერი შელიამ (უფროსი მწვრთნელი შალვა ჰაფოძე). ყოველ დიდ შეჯიბრებაზე წარმატებით გამოსვლას კი, თუნდაც ამაზე ოცნებას, ასეთი ადგილობრივი მასშტაბის ასპარეზობებზე ეყრება საფუძველი.

**ნოდარ ებრალიძე.**

## მოკლედ

### მასწავლებელთა პირველობაზე

**ჩოხატაურის** საჭადრაკო კლუბში ჩატარდა რაიონის მასწავლებელთა პირად-გუნდური პირველობა ჭადრაკში.

I ადგილი დაიკავა კოხნარის საშუალო სკოლის ნაკრებმა გუნდმა.

ქალთა შორის რაიონის ჩემპიონის სახელი მოიპოვა კოხნარის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მაყვალა ოსეფაიშვილმა.

ვაჟთა შორის კი ყველას აჯობა დავით გურგენიძემ.

**„ლელოს" კორ.**

## საფეხბურთო კავშირის თასზე
## „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი) 0:1 (0:1)

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 3 მარტი.

**თბილისი:** გაბელია, თეთრაძე, თედეევი, ჰედია, არზიანი, აფციაური (ფანცულაია), ხვანაძე, ცვეიბა (ყაველაშვილი), ცაავა, კაჭარავა (ქეცბაია), გოგიჩაიშვილი.

**მინსკი:** კურბიკო, როდნენოკი, ლეხუნი (გურინოვიჩი), როხიხინი, პავლიუჩუკი, ზიგმანტოვიჩი, ანტონოვიჩი (გერასიმეცი), შიროკი, ალეინიკოვი, სოკოლი (მარხელი), შალიმო.

მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის თასის ტრადიციული გათამაშება წლეულს ახალი სახელწოდებით წარუდგინეს ჩვენს სპორტულ საზოგადოებრიობას და საფეხბურთო კავშირის სახელობისა უწოდეს. მართალია, თვით საფეხბურთო კავშირი ჩვენში ჯერ არ შექმნილა, მისი სახელობის შეჯიბრება კი უკვე არის. ამით არსებითად არაფერი შეცვლილა. საქმე ისაა პასუხობს თუ არა ეს ახალი შეჯიბრება იმ მაღალ მოთხოვნებს, რომლისთვისაც იგი გათვალისწინებულია. კრიტიკული შენიშვნები მრავლადაა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: სეზონის მთავარი მოვლენების წინ გამართულ ამხანაგურ საკონტროლო შეხვედრებს, ეტყობა, მაინც ჯობია უმაღლესი ლიგის გუნდების ოფიციალური შეჯიბრება. იგი უფრო სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს გუნდებს და ამიტომაც უფრო პრესტიჟულიცაა.

ჩვენც ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ თასის მატჩს მინსკისა და თბილისის დინამოელთა შორის. თბილისელებმა ეს თამაში წააგეს, წაგებას კი გარკვეული მიზეზები მუდამ თან ახლავს, ჩვენც შესაბამისი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ ახლავე, სანამ არ დაწყებულა მთავარი შეჯიბრებები — სსრ კავშირის ჩემპიონატი და სსრ კავშირის თასის გათამაშება.

ძალთა შეფარდება მინდორზე დაახლოებით თანაბარი იყო. რამდენადმე მაინც შესამჩნევი უპირატესობა რომელიმე მხარეს არა ჰქონია, მაგრამ ნაკლოვანებანი ორივე გუნდის თამაში მრავლად შეიმჩნეოდა. რა თქმა უნდა, არავინ აპირებს მარტის დასაწყისში მოთხოვოს მოთამაშეს სრული მზადყოფნა, ფეხბურთელები ნამდვილ საბრძოლო სპორტულ ფორმაში მოგვიანებით შევლენ, მაგრამ მაინც გვინდა აღვნიშნოთ, რომ თბილისის „დინამოს“ მოთამაშეთა ერთი წყება აშკარად გამოკვეთილი შეცდომებით თამაშობს. ეს იგრძნობა ბურთის ელემენტარული ტექნიკური ილეთების შესრულების დროსაც, არის ხარვეზები ტაქტიკურ სქემაშიც, უფრო სწორად, მოთამაშეები ვერ ასრულებენ წინასწარ დასახულ კომბინაციურ ურთიერთმოქმედებას და ხშირად ცდებიან ბურთის გადაცემისას.

ერთი სიტყვით, თბილისის „დინამოს“ თამაშმა ამ დღეს სახარბიელო შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, დინამოელ ფეხბურთელებს მზადების ფორსირებული ტემპები სჭირდებათ, რათა ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის 52-ე ჩემპიონატის სტარტს.

განვლილი მატჩის მსვლელობაში მასპინძლებს ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ცვეიბამ, აფციაურმა, კაჭარავამ ვერ გამოიყენეს ისინი. რაც შეეხება სტუმრებს, მათ 35-ე წუთზე საუკეთესოდ გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია და შორი მანძილიდან მიწოდებული ბურთი ანტონოვიჩმა ზუსტი თავური დარტყმით გაიტანა კარში — 1:0. მატჩის მიწურულს თბილისელებმა რამდენიმე შეტევა განახორციელეს, მაგრამ უშედეგოდ.

⊙ ფეხბურთი



### იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი
## ოქროს მედლები — პორტუგალიელ ჭაბუკებს

**საუდის** არაბეთში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი 21 წლის ასაკამდე ფეხბურთელთა შორის. ამ ქვეყნის დედაქალაქ ერ-რიადში 3 მარტს შედგა ფინალური მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ პორტუგალიისა და ნიგერიის გუნდები. პორტუგალიელმა ფეხბურთელებმა საგრძნობი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 (1:0). მათ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონთა ოქროს მედლები.

აქვე შედგა მატჩი მესამე ადგილისთვის ბრაზილიისა და ამერიკის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა 2:0 (0:0).

## ჩოლაკი კვლავ ბომბარდირია

**ფეხბურთის** მოყვარულებმა იციან, რომ 1987-88 წლების სეზონის შედეგებით, ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირის პრიზი „ოქროს ბუცი“ გადაეცა თურქ ფეხბურთელს ტანჯუ ჩოლაკს.

25 წლის ფეხბურთელს, რომელიც „გალათასარაიში“ გამოდის, პირველ დივიზიონში ჩატარებული აქვს 162 მატჩი (გაიტანა 127 ბურთი). ნაკრების შემადგენლობაში ჩოლაკმა 17 მატჩი ითამაშა.

მიუხედავად სტაბილური შედეგებისა, ჟურნალისტები ტ. ჩოლაკს, ჯერჯერობით, მაინც „ადგილობრივი მნიშვნელობის“ ვარსკვლავად თვლიან. „საერთაშორისო აღიარების მისაღწევად საზღვარგარეთ მომიწევს წასვლა სათამაშოდ“ — მიაჩნია ფეხბურთელს. ალბათ, ეს ასეც მოხდება. „გალათასარაიმ“ უკვე მიიღო წინადადებები იტალიიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, საფრანგეთიდან. თავად ტ. ჩოლაკი უპირატესობას ფრანგულ კლუბ „ბორდოს“ ანიჭებს.

საბჭოთა ფეხბურთელებსაც მალე მოუწევთ ჩოლაკის გუნდის წინააღმდეგ თამაში. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, სადაც სსრ კავშირის ნაკრებიც ასპარეზობს, თურქთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:1 სძლიეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს, 2 ბურთი ჩოლაკის ანგარიშზეა. „ჩემპიონთა თასის გათამაშების ხუთ მატჩში კი ხუთი ბურთი გავიტანე, მე ბედნიერი ვარ“. — განაცხადა ტანჯუ ჩოლაკმა.

### გამარჯვება ამხანაგურ მატჩებში

**სსრ კავშირის** ჩემპიონატისთვის მზადებასთან დაკავშირებით მოსკოვის დინამოელებმა ორი ამხანაგური მატჩი გამართეს ინგლისის ფეხბურთის კლუბებთან. პირველ შეხვედრაში მათ დაამარცხეს „ნორვიჩ სიტი“ ანგარიშით 2:0, ხოლო მეორეში, — „დერბი ქაუნთი“ — 1:0.

### „ჩესკოსლოვენსკი სპორტის“ აზრით

პრაღის გაზეთმა „ჩესკოსლოვენსკი სპორტმა“ გამოაქვეყნა მსოფლიოს ფეხბურთელთა სიმბოლური ნაკრები: პრიუდომი (ბელგია), რიიკარდი, რ. კუმანი (ორივე — ჰოლანდია), კუზნეცოვი (სსრ კავშირი), ალოიზიო (ბრაზილია), მიხაილიჩენკო (სსრ კავშირი), რომარიო (ბრაზილია), მარადონა (არგენტინა), ჰაჯი (რუმინეთი), გულიტი, ვან ბასტენი (ორივე — ჰოლანდია).



## თებერვალშიც გაგვახარეს

(დასასრული)

ორი პირველი ადგილი (3-მეტრიანი ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში) დაიკავა, ხოლო ჩემპიონატში თითო ოქროს (კოშკი) და ვერცხლის (3-მეტრიანი ტრამპლინი) მედლები მოიპოვა და აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს მიაღწია.

გაზეთის პრიზზე ჩატარებულ პირველობაში მეორე იყო ჩოგოვაძის თანაგუნდელი გიორგი შელიუგოვი (1-მეტრიანი ტრამპლინი). მესამე ადგილზე გავიდა ანა როსტიაშვილი (კოშკი), მანვე ასეთსავე წარმატებას მიაღწია ჩემპიონატშიც (კოშკი). დიანა მჭედლიძემ მესამე ადგილი დაიკავა საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში (1 და 3-მეტრიანი ტრამპლინი).

**თბილისელმა** ოთარ მჭედლიშვილმა მოსკოვში, აეროფლოტის პრიზზე გამართულ ველოსიპედისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ორი საპრიზო ადგილი მოიპოვა. იგი მესამე იყო ომნიუმში (ველოსიპედო მრავალჭიდი), ხოლო სპრინტერთა შეჯიბრებაში მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

მოსკოვის საკავშირო ჩემპიონატში თბილისელმა ველოსიპედისტმა ვლადიმერ ადამაშვილმა 200 მეტრიან დისტანციაზე (ხვლით) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**კვლავ** გვახარებენ თბილისელი ბატუტისტები. კრასნოდარში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაში რუსუდან ხოფერიამ, ნიკოლაეველ ელენა კოლომეცთან ერთად ყველას აჯობა სინქრონულ ხტომებში, ხოლო ინდივიდუალურ ხტომებში მეორე იყო.

ამას გარდა, მეორე ადგილზე გავიდნენ, აგრეთვე, მისი თანაგუნდელები ანა დოლონაძე და ლია ბენდიანიშვილი, რომლებმაც ამ წარმატებას სინქრონულ ხტომებში მიაღწიეს.

**ჩოგბურთელთა** მოსკოვის ტრადიციულ ღია ჩემპიონატში, რომელიც სულ უფრო პოპულარული და პრესტიჟული ხდება, 18 ქალაქის 160-მდე სპორტსმენი გამოდიოდა. ამდენად, ერთიორად სასიხარულო იყო, რომ ასეთ წარმომადგენლობით ასპარეზობაში თბილისელმა დავით კაჭარავამ ერთეულთა თანრიგში ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

**თბილისელმა** რაპირისტმა ოლეგ ჩერნიშოვმა დნეპროპეტროვსკში გამართულ ახალგაზრდა (1969 წელსა და შემდეგ დაბადებულნი) მოფარიკავეთა საკავშირო შეჯიბრებაში ყველას აჯობა.

**ტალინის** ქალთა საერთაშორისო ტურნირში თბილისელმა მოჭადრაკემ ქეთევან კახიანმა პირველი პრიზი დაიმსახურა.

ქართველი მოჭადრაკეების წარმატებით დამთავრდა ჰავრში (საფრანგეთი) გამართული ქალთა საერთაშორისო ტურნირიც. აქ ყველაზე მეტი — 11-11 ქულა მოაგროვეს ნონა გაფრინდაშვილმა და ქეთევან არახამიამ. უკეთესი კოეფიციენტის წყალობით პირველი ადგილი არახამიას მიეკუთვნა.

• • •

**თებერვალში** იყო სხვა მეტნაკლები მნიშვნელობის წარმატებები, რომლებიც ძირითადად ჭაბუკთა შეჯიბრებებშია მოპოვებული.

**სამწუხაროდ,** იყო წარუმატებლობებიც. მაგალითად, მოსკოვში, გამართულ ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატში ოთარ მჭედლიშვილმა, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე აეროფლოტის პრიზზე გამართულ ასპარეზობაში საპრიზო ადგილები მოიპოვა, მერვედფინალიდან ბრძოლას გამოეთიშა, რაც დიდი მოულოდნელობა გახლდათ.

**თებერვალში** წარუმატებლად გამოვიდა თბილისელი მძლეოსანი ოლეგ სტრიჟაკოვიც, რომელმაც ბათუმში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში, მძლეოსნურ კროსში, მისთვის ძალზე შეუფერებელი, მეცამეტე ადგილი დაიკავა.

**გაგვაწბილეს** ჩვენმა მოკრივეებმაც, რომლებმაც ყირგიზეთის დედაქალაქში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში თავი ვერაფრით გამოიჩინეს. აქ რვა ჩვენი სპორტსმენიდან ექვსი პირველსავე წრეში დამარცხდა, ხოლო ორი — მეორე ბრძოლებში.

განსაკუთრებით საწყენია თბილისელების რუდიკ და ალბერტ კაზანჯიანებისა და ხვიჩა ხდრიანის წარუმატებლობა, რადგან ისინი საკავშირო ნაკრების წევრები და სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორები იყვნენ. ერთობ ცუდი შედეგების გამო ჩვენი სამივე მოკრივე საკავშირო ნაკრებიდან გამოიყვანეს.

**თებერვალში,** რა თქმა უნდა, იყო სხვა წარუმატებლობებიც, მაგრამ აქ გავიხსენეთ მხოლოდ ისინი, ვისგანაც გაცილებით მეტს ველოდით.

იმედია, საქართველოს ხელმოცარული სპორტსმენები, თუ კი ისინი ნამდვილი სპორტსმენები არიან, ჩვენს ამგვარ შეხსენებებს ნიშნისმოგებ კიჟინად არ ჩაგვითვლიან და მომავალ პაექრობებში თავიანთ მებრძოლურ თვისებებს დაგვიმტკიცებენ და კვლავ გაგვახარებენ.



## მეოთხედფინალში დაიწყო

**გუშინ** დაიწყო მეოთხედფინალური შეხვედრები ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების რაიონების გუნდებს შორის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. ამ დღეს პირველად შეჯიბრება მოეწყო ფონოგრამის თანხლებით. ხალიჩაზე პირველები გამოვიდნენ საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულისა და ცხინვალის რაიონის ერედვის გუნდები. სრული უპირატესობა პატარძეულის მოჭიდავეების მხარეს იყო — 8:1. მეორე შეხვედრა რუსთავისა და ხაშურის რაიონის სოფელ ვაყის ფალავნებს შორის გაიმართა. თუ წინა შეხვედრის ბედი მალე გაირკვა, ამ გუნდებს შორის დასაწყისში, მეტად უშელავათო ბრძოლა გაიმართა. საბოლოოდ კი ანგარიშით 7:2 გაიმარჯვა ვაყის გუნდმა.

გია გურდული.

## ამჯერად იუნიორები

### საქართველოს ძიუდოისტთა მორიგი წარმატებები

**უკვე** ჩატარდა ქვეყნის ჩემპიონატი ძიუდოში. შემდეგ ჭაბუკებმა გამართეს თავიანთი პირველობა. ახლა ჯერი იუნიორებზე (1969-1971 წ.წ. დაბ.) მიდგა, ოღონდ ქვეყნის პირველობის დაწყებამდე ჯერ სპორტსაზოგადოებებში იმართება საკავშირო შეჯიბრებები.

„შრომითი რეზერვების“ ძიუდოისტებმა ორიოლში მოიყარეს თავი, ჩვიდმეტი გუნდი შეგროვდა — ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებები.

ტრადიციულად ძლიერად იასპარეზეს საქართველოს წარმომადგენლებმა, რომლებმაც გუნდურ პირველობაში 36,5 ქულა მოაგროვეს და ყველა მეტოქე ჩამოიტოვეს. რსფსრ-ის გუნდი მეორე ადგილზე გავიდა — 30,5 ქულა, მოლდაველის სპორტსმენები — მესამეზე (17).

პირად პირველობაში ორი გამარჯვება — მძიმე და აბსოლუტურ წონით კატეგორიაში — მოიპოვა ჯონდო დაბრუნდაშვილმა. მან ზედიზედ რვა შეხვედრა მოიგო წმინდად.

95 კგ წონაში ყველა მეტოქე ასევე წმინდად დაამარცხა და უძლეველის სახელი დაიმსახურა ბესიკ მათიკაშვილმა. მას არ ჩამორჩა თემურ ტაბატაძე, რომელმაც გაიმარჯვა 71 კგ წონის მოჭიდავეთა შორის.

ფინალამდე ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო გერასიმე ხაბულიანმა (65 კგ), გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი მსაჯთა გადაწყვეტილების გამო (ჰანტეი) დამარცხდა და მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილებზე გავიდნენ გიორგი ახალკაცი (95 კგ), ავთანდილ ზუბუტაშვილი (86 კგ) და კახა ზერუაშვილი (71). ყველა ზემოდასახელებული მოჭიდავე ჩარიცხულია „შრომითი რეზერვების“ საკავშირო ნაკრებში, რომელიც ქვეყნის პირველობაში მიიღებს მონაწილეობას. გოგონათა გუნდში ჩვენი სპორტსმენებიდან გამოვლენ ე. კელიხაშვილი, ი. ქარსანიძე და თ. მიქელაძე.

ჩვენი გუნდის შეჯიბრებისათვის მომზადებაში მონაწილეობდნენ მწვრთნელები კ. კბილაშვილი, ვ. ბალხამიშვილი, მ. ღლონტი, მ. შუშაბერიძე, ხ. წიკლაური, ნ. მელიქიძე.

**პროფკავშირელ** ძიუდოისტთა პირველობას ლიპეცკმა უმასპინძლა. იქ მხოლოდ პირადი პირველობა ჩატარდა.

საქართველოს ძიუდოისტებმა ორი პირველი, სამი მეორე და ოთხი მესამე ადგილი დაიკავეს. თავიანთ წონაში უძლიერესები იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი თამაზ სააკაშვილი (86 კგ) და გორელი დავით ჩოჩიშვილი (მძიმე წონა).

მეორე ადგილებზე გავიდნენ ბესიკ გიორგაშვილი (71 კგ), გია კირაკოზაშვილი და ნუკრი ჯალაბაძე (აბსოლუტური წონა), მესამეზე — დავით ჩოჩიშვილი (აბსოლუტური), თამაზ ჯალაბაძე (95 კგ), ნუკრი ჯალაბაძე (86 კგ) და მერაბ კეტუნაშვილი (56 კგ).

ჩვენს გუნდს შეჯიბრებისთვის ამზადებდნენ ომარ გულისაშვილი, გივი ზაუტაშვილი, ირაკლი წიკლაური და ქართლოს პაპლიაშვილი.

# ორი ლიდერი და ერთი სასიხარულო ამბავი

**მოჭადრაკე** ქალთა 45-ე რესპუბლიკურ ჩემპიონატზე მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა.

მეორე გამარჯვება იზეიმეს ნინო ხურციძემ და ნათია ჯანჯღავამ, რომლებმაც შავი ფიგურებით დაამარცხეს შესაბამისად ციური კობაიძე და ცირა მერეკლიშვილი.

ამ ორიოდე დღის წინ კი სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ — ნინო ხურციძე, ნატო ეძგვერაძესთან ერთად დაშვებულია 14 წლამდე ასაკის გოგონათა შორის მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში.

ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: მესხი-თვაური — 1:0, თანდაშვილი-ფახიროვა —0:1, ალიხანაშვილი-ქასოშვილი — 0:1, ეძგვერაძე-ჩაიკოვსკაია — 1:0, გადაიდო კურცხალია-სადუნიშვილისა და ტერელაძე-ხუგაშვილის პარტიები, ხოლო მელაშვილ-ლაგვილავას შეხვედრა გადატანილია.

2 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგნენ ნათია ჯანჯღავა და ნინო ხურციძე, მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება ნატო ეძგვერაძე.

**თამარ ხმიადაშვილი.**

---

**სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში**

# თანაბარი ბრძოლა პირველ ტაიმში

**გაიმართა** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**რიგა.** ადგილობრივი ვეფ-ი ჩემპიონატის ერთ-ერთ პოტენციურ ლიდერს, კიევის „სტროიტელს" მასპინძლობდა. პირველ ტაიმში ორივე გუნდი მონდომებით თამაშობდა და შეხვედრის პირველი ნახევარი ფრედ 49:49 დამთავრდა. მონდომება მეტოქეებს არც შესვენების შემდეგ აკლდათ, მაგრამ უკრაინელი კალათბურთელები უფრო ზუსტად ისროდნენ ბურთს კალათში და გამარჯვებასაც მათ მიაღწიეს — 110:86.

**კაუნასი.** „ჟალგირისისა" და დონეცკის „შახტიორის" კალათბურთელთა შეხვედრის პირველი ტაიმი თანაბარი ბრძოლით აღინიშნა და მასპინძლებმა უმნიშვნელო უპირატესობას მიაღწიეს — 56:53. შესვენების შემდეგ ინიციატივა „ჟალგირისმა" იგდო ხელთ და გამარჯვება კიდეც — 112:95.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 4 მარტისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მ.) | 32 | 21 | 11 | 53 |
| ასკ (ალმა-ათა) | 30 | 20 | 10 | 50 |
| ცსკა | 27 | 19 | 8 | 46 |
| „კალ." (ტალ.) | 30 | 15 | 15 | 45 |
| „ჟალგ." (კაუნ.) | 23 | 21 | 2 | 44 |
| „სტროიტ." (კ.) | 23 | 19 | 4 | 42 |
| „სტატ." (ვილნ.) | 28 | 14 | 14 | 42 |
| „დინამო" (თბ.) | 30 | 11 | 19 | 41 |
| „სპარტ." (ლენ.) | 30 | 6 | 24 | 36 |
| ვეფ (რიგა) | 32 | 4 | 28 | 36 |
| რტი (მინსკი) | 24 | 10 | 14 | 34 |
| „შახტ." (დონ.) | 25 | 7 | 18 | 32 |

# სარბენ ბილიკზე ვერავის მოატყუებ

(დასასრული)

— ეს ბოლო შესარჩევი შეჯიბრება გახლავთ. ჩვენი საქმე იოლია, აგერ ბილიკი და აგერ მორბენალი. სარბენ ბილიკზე ვერავის მოატყუებ, ყველაფერი ნათლად ჩანს.

● **უცნაურად ხომ არ მიგაჩნიათ ის, რომ კროსმენთა გასულ მსოფლიო ჩემპიონატებში ჩვენი ნაკრები ძირითადად ქალთა და იუნიორთა გუნდებით იყო წარმოდგენილი, ვაჟები კი არ მიჰყავთ, ამას არ იმსახურებენო. შარშანწინ ჩემპიონატი მეზობლად, პოლონეთში ჩატარდა და არც იქ ყოფილა ჩვენი გუნდი. საქმისადმი ასეთი მიდგომის დროს თუ შეიძლება პროგრესის იმედი ჰქონდეს კაცს?**

— რა თქმა უნდა, არ შეიძლება ეს დიდხანს გაგრძელდეს. ვეცდებით, ნორვეგიაში, კროსმენთა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე, სრული გუნდი წავიყვანოთ. ყოველ შემთხვევაში, ზემდგომი ხელმძღვანელობის წინაშე დავაყენებთ ამ საკითხს...

26 თებერვალს ანგისის სპორტულ კომპლექსში თავი მოიყარა 11 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 300-მდე მორბენალმა. „რა მიზეზით არ ჩამოვიდნენ ბალტიისპირეთისა და ტაჯიკეთის წარმომადგენლები, ჯერჯერობით უცნობია". —გვითხრა ვ. ვორობიოვმა. სტარტზე გამოვიდა 19 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (14 ქალი), 102 სპორტის ოსტატი. ეს იყო მეტად დაძაბული შეჯიბრება, სადაც ბევრი მოულოდნელი, პირდაპირ დრამატული შემთხვევა მოხდა. მაგალითად, 8-კილომეტრიან დისტანციაზე იუნიორთა ასპარეზობაში ბოლო კილომეტრამდე დამაჯერებლად ლიდერობდა სერგეი ბონდარენკო, მაგრამ ღვიძლის უეცარმა ტკივილმა, მორბენლის ტრადიციულმა „მტერმა", აშკარა გამარჯვება გამოაცალა ხელიდან. 5 კილომეტრზე ასპარეზობის ბოლოს რატომღაც სხვა მხარეს გაქცევა სცადა დაწინაურებულმა ნ. სოროკიევსკაიამ. როცა შეცდომას მიხვდა, უკვე გვიან იყო. მას სულ 0,5 წამით გაუსწრო ტ. პოზდნიაკოვამ..

ყველაზე საინტერესო შეჯიბრება ვაჟთა შორის გაიმართა 12-კილომეტრიან დისტანციაზე. ბოლო კილომეტრის წინ დაწინაურებულთა გუნდში ერთბაშად 15 მორბენალი იყო, მათგან უკანასკნელი თბილისელი ოლეგ სტრიჟაკოვი გახლდათ. გრძელმა ფინიშმა გამარჯვება მოუტანა ევროპის თასის მფლობელს მარათონში, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს (!), 30 წლის რავილ კაშაპოვს. სტრიჟაკოვი კი, სამწუხაროდ, მეცამეტე ადგილს დასჯერდა.

● **ადრე თუ გიჯობნიათ კროსში სტაიერებისთვის? — ვკითხეთ გამარჯვებულს.**

— არა, აქამდე მუდამ მეორე ან მესამე ადგილზე ვიყავი. ისე კი, მარათონელს, ამ გამარჯვებას დიდ გმირობად ნუ ჩამითვლით. ჩვენ ახლა, უბრალოდ, არა გვყავს კარგი სტაიერები, თორემ ჩემი მიღწევა ჩვეულებრივი შედეგია მარათონელისთვის. ეს ჩემპიონატი ჩემთვის მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპია მარათონში მსოფლიო თასის გათამაშების წინ. საერთოდ, „ჩემს" დისტანციაზე ჩვენში ახლა გამოცოცხლებაა. უკვე ვალუტის შემოტანაც დავიწყეთ პრიზების სახით. სტაიერებს კი ჯერ არ ეტყობათ პროგრესი...

ანგისის ტრასაზე გამართულ შეჯიბრებაში ძალზე სუსტად გამოვიდნენ საქართველოს კროსმენები. მძლეოსნობის ეს სახეობა ჩვენში, რომ იტყვიან, სულს ღაფავს. 7-კაციანი გუნდის წევრთაგან ჩათვლა მხოლოდ 12 კილომეტრზე მოასპარეზე ოლეგ სტრიჟაკოვმა, სერგეი არტამონოვმა და იური ციგულიოვმა მიიღეს, ხოლო ოლეგ ხოხლოვმა „და" ანდრეი ჩაიკოვმა საერთოდ მიატოვეს დისტანცია.

მართალია, საბჭოთა ნაკრების მწვრთნელები თითქოს კმაყოფილნი დარჩნენ მორბენალთა შედეგებით, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ხელსაყრელ საასპარეზო პირობებს, მათ დიდი აღტაცების საბაბი მაინც არ უნდა ჰქონდეთ. მარცხის გამო, ჯერ არ არის გადაწყვეტილი, გაემგზავრება თუ არა ოლეგ სტრიჟაკოვი ნორვეგიაში, კროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატზე. სტაიერთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვიქტორ პოლუნინმა ამაზე გადაჭრით ვერაფერი გვიპასუხა.

აქ ერთი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი: არსებულ პირობებში საკავშირო ჩემპიონატის ყველა გამარჯვებული ვერ მოხვდება გუნდში, თუნდაც ეს მწვრთნელებსაც სურდეთ. საბჭოთა ქვეყნის მესაბამისი კანონის საფუძველზე გუნდის განაცხადი ორი თვით ადრე უნდა გაიგზავნოს, რათა მან ვიზა მიიღოს. კროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატი აპრილში ტარდება და, როცა ბათუმში შეჯიბრება მიმდინარეობდა, გუნდის სია, იოლი მისახვედრია, კარგა ხნით ადრე იყო შედგენილი...

კროსმენთა საკავშირო ჩემპიონატზე იყო სიახლეც: პირველად ჩატარდა ცალკე ახალგაზრდა სპორტსმენთა (1967-1969 წწ. დაბადებულნი) გარბენი და ისინი ასევე ცალკე დააჯილდოვეს. ადრე ამ ასაკის მორბენლები ერთგვარად „დაკარგულ თაობად" ითვლებოდნენ. ისინი, იუნიორთა ასაკიდან გამოსულნი, ერთბაშად ვერც მოზრდილ სტაიერთა შორის იმკვიდრებდნენ ადგილს და ბევრი მათგანი იკარგებოდა სპორტისათვის. დანერგილმა სიახლემ კი ეს ტენდენცია უნდა შეზღუდოს.

**გიორგი ჩოჩიშვილი,**
**„ლელოს" სპეც. კორ.**

**2 1 3 კვარცხლბეკი**

**გოგონები (1970-71 წ.წ. დაბ.) 4000 მ.** 1. ო. ნაზარკინა (რსფსრ-1) — 13.25,7; 2. ე. ჰალიმანი — 13.44,5; 3 ს. ნესტეროვა (ორივე —რსფსრ-2) — 13.55,0.

**ახალგაზრდები (1967-1969 წ.წ. დაბ.). 5000 მ.** 1. ე. სამოშენკოვა— 17.02,5; 2. ი. ბაბურინა (ორივე— რსფსრ-1) — 17.20,0; 3. ა. დუდაევა (ბელორუსია) — 17.29,0.

**ქალები. 5000 მ.** 1. ტ. პოზდნიაკოვა (რსფსრ-1) — 16.09,0; 2. ნ. სოროკიევსკაია (ყაზახეთი)— 16.08,5; 3. ნ. ილინა (რსფსრ-1) — 16.12,0.

**ჭაბუკები (1970-1971 წ.წ. დაბ.) 8000 მ.** 1. დ. სოლოვიოვი (რსფსრ-1) — 24. 50, 0; 2. ი. მაზეპა (ბელორუსია) — 24.58,0; 3. ს. საიფუშევი (რსფსრ) —25.02,0.

**ახალგაზრდები (1967-1969 წ.წ. დაბ.) 12000 მ.** 1. ი. ნოსკოვი (მოსკოვი) — 37.41,5; 2. ო. საველიევი (ბელორუსია) — 37.53,0; 3. ო. ოტმახოვი (რსფსრ-1) — 37.56,0.

**ვაჟები. 12000 მ.** 1. რ. კაშაპოვი (რსფსრ-1) — 36.44,0; 2. ვ. მაიფატი (ყაზახეთი) — 36.45,0; 3. ე. ოკოროკოვი (რსფსრ-2) — 36.46,0.

**გუნდური. I ჯგუფი.** 1. რსფსრ-1 — 286 ქულა; 2. ბელორუსია — 215; 3. რსფსრ-2 — 192.

**II ჯგუფი.** 1. მოლდავეთი — 93; 2. უზბეკეთი — 84, 3. ყირგიზეთი — 82... 5. საქართველო —16.

**კვირიდან კვირამდე**

**„პრავდა"** — 27 თებერვალი. **„გამოიცანით ფავორიტი"** — დიდოსტატი ა. სუეტინი მიმოიხილავს ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩებს.

**„რას მღერის თხილამურები"**, — ლახტის, მსოფლიო პირველობის რეპორტაჟი.

**„ტყუილად დავიწყეთ თამაში"** — საბილიარდო სპორტი აღორძინებას ელის.

**„იზვესტია"** — 28 თებერვალი. **„საფეხბურთო კონტრაქტი — ეს რეალობაა".**

**„ველით ჰოკეის პროფებს".**

**1 მარტი. „როგორ არ უნდა ითამაშო ფეხბურთი"** — მიმოხილულია იუნიორთა მსოფლიო პირველობაზე საბჭოთა ნაკრები გუნდის გამოსვლა.

**„ტრუდი"** — 2 მარტი. **„უნივერსიადა ალმართავს ალმებს".**

**1 მარტი. „სოვეტსკი სპორტი".** **„მილიონი მილიონის წილ".** 401 მილიონი დოლარი — ასეთ სუპერსოლიდურ ფასად დაუჯდა ამერიკულ ტელეკომპანია ენ-ბი-სი-ს ბარსელონის 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩვენების უფლება.

**„ფრანკ ორდენევიცი: „ჯილდო? იგი არ დამიმსახურებია" — ფეირ პლეი" — „ჯენტლმენთა პრიზია".** ფიფა-ს ამ პრიზის, რომელსაც „კეთილშობილი თამაში" ჰქვია, 1988 წლის მფლობელი დასავლეთგერმანელი კლუბის „ვერდერის" მოთამაშე ფ. ორდენევიცი პასუხობს კორესპონდენტ დ. კაკაბაძის კითხვებზე.

**„ზვავი"** — ტრაგედია მთაში, როგორ მოხდა ეს.

**3 მარტი. „რა გამახსენა პორტრეტმა"** — სიმართლე შორეულ წლებზე.

**„ცრემლები ბედნიერებისა, ცრემლები ტკივილისა"** — კვირის სენსაცია. წერილი გვაცნობს ამერიკის პროფესიული კალათბურთის პერიპეტიებს.

**„ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარნი"** — მე-2 გვერდზე გაეცნობიან მათთვის საინტერესო მასალებს.

**„გაძლიერებული ყურადღების ზონაში"** — ინტერვიუს იძლევა მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდის ახალი მწვრთნელი ოლეგ რომანცევი.

**4 მარტი.** ქვეყნის საფეხბურთო 52-ე ჩემპიონატის მოახლოებასთან დაკავშირებით მესამე გვერდის ნაწილი „საფეხბურთო კვირეულს" აქვს დათმობილი.

**„სპორტლოტო"**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" მორიგი, მეცხრე ტირაჟებისა, რომლებიც 26 თებერვალს შედგა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** დაშვებულია 2081146 ვარიანტი.

ექვსი ნომერი ერთმა გამოიცნო, რომელიც 10000 მანეთს მიიღებს. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (123) მოგება 507 მანეთია, ოთხისთვის (3757) — 24, სამისთვის (55611) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** დაშვებულია 22156629 ვარიანტი.

ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (231) მოგება 2928 მანეთია, ოთხისთვის (17337) — 67, სამისთვის (371383) — 4.

მეცხრე ტირაჟების მოგებები გაიცემა 13 მარტიდან 13 აპრილის ჩათვლით.

**„სპორტპროგნოზი"**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 09 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 25-26 თებერვალს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია: 3.761.323 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (6) მოგება 9.914 მანეთია, 12-ის (121) — 983 მანეთი, 11-ის (1.860) — 223 მანეთი.

09 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 18 მარტიდან 18 აპრილის ჩათვლით.

# ბოლო ტური გადაწყვეტს

**ლინარესში** (ესპანეთი) დასასრულს მიუახლოვდა დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ბოლო, 11 ტურის წინ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: ვასილი ივანჩუკი — 7 ქულა (10 შესაძლებლიდან), ანატოლი კარპოვი — 6,5, იან ტიმანი (ჰოლანდია), ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — 5-5.

ბოლო ტურში ვასილ ივანჩუკის მეტოქე უნგრელი დიდოსტატი ლაიოშ პორტიში იქნება, ხოლო ანატოლი კარპოვი კი იან ტიმანს ეთამაშება და გამარჯვებულიც აქ გამოვლინდება.

# ორი სპორტსმენით—მეორე ადგილზე

**ამას** წინათ დოსაafის რესპუბლიკურ საწვრთნელ ბაზაზე ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ავტომრავალჭიდში, სადაც თავი მოიყარეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან ჩამოსულმა სპორტსმენებმა. შეჯიბრება გაიმართა ავტომანქანების ფიგურულ ტარებაში, ავტოსლალომში, საწვავის ეკონომიაში, ტყვიის სროლასა და 3 კილომეტრზე სირბილში. მონაწილენი ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი, პირველ ჯგუფში შედიოდნენ თბილისის, ქუთაისისა და აფხაზეთის, ხოლო მეორეში — რესპუბლიკის დანარჩენი გუნდები. ორდღიანი შეჯიბრების შემდეგ პირველ ჯგუფში გაიმარჯვეს თბილისელმა სპორტსმენებმა, მეორე ადგილზე გავიდნენ ქუთაისის, მესამეზე — აფხაზეთის წარმომადგენლები.

საკმაოდ მწვავე ბრძოლა გაიმართა მეორე ჯგუფში. აქ გამოდიოდნენ რესპუბლიკის ცნობილი სპორტსმენები, საბჭოთა კავშირის 1988 წლის პრიზიორი, სპორტის ოსტატი ვ. გოგია, ოსტატობის კანდიდატები ო. გარსევანიშვილი, ვ. შკანდონი, ვ. ნიკურაძე. პირველი ადგილი დაისაკუთრეს სამტრედიის დოსაafის წარმომადგენლებმა, მეორეზე ზუგდიდის დოსაafის გუნდი გავიდა, მესამეზე — წულუკიძის ნაკრები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზუგდიდის გუნდმა ორი სპორტსმენით დაიკავა მეორე ადგილი (ვახტანგ დავითაია და პეტრე თორდია). მარტო ბენზინის ეკონომიაში, ტყვიის სროლაში და ავტოსლალომში მე-2 ჯგუფში ყველაზე მეტი ქულა გუნდს მოუტანა ვ. დავითაიამ. სწორედ მისი საერთო ქულების ჯამის საშუალებით გავიდნენ ზუგდიდელები მეორე საპრიზო ადგილზე. კარგი იქნებოდა თუ ზუგდიდის დოსაafის ხელმძღვანელობა და სატრანსპორტო გაერთიანება მეტ ყურადღებას დაუთმობდნენ სპორტის ამ სახეობის განვითარებას.

**კორნელი კაკაჩია.**

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 ⅩⅩ უხ 07136